საჯარო სამართლის იურიდიული პირის

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება

3-06-4-201903281932

N 06/3-რ
28/03/2019

ქ.თბილისი

შპს „TRUSTY BROKER“–ს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

“დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის 21–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის #102–ე დადგენილებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე–3 მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, მე–4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 18 ნოემბრის N 09 ბრძანებით დამტკიცებული „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის“ მე–4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6 პუნქტის და შპს „TRUSTY BROKER“–ს 2019 წლის 26 მარტის მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს შპს „TRUSTY BROKER“–ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 404432020, სადაზღვევო ბროკერთა სარეგისტრაციო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი N 012018) რეგისტრაცია.
2. განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება სადაზღვევო ბროკერთა სარეგისტრაციო რეესტრში.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი N 6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ონოფრიშვილი

სამსახურის უფროსი